პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 15 თებერვალი 1978 წ. № 39 (17083) ფასი 2 კაპ.

სამშობლოს ხილდო გვაკვალავს!

მთავარია წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ, რომ იყოს მუშაობის ზუსტი რიტმი, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

პირობას გავანაღდებთ

რუსთაველ მეტალურგთა სიხარულს ამ დღეებში საზღვარი არა აქვს. გასულ საიუბილეო წელს რესპუბლიკის მშრომელთა მიერ გაწეული შრომის ესოდენ მაღალ შეფასებასთან ერთად ჩვენ გამსაკუთრებული სიამაყის გრძნობას გვგვრის ის ფაქტი, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის, რომელთაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს, არის ჩვენი კოლექტივიც.

ეს წარმატება თითოეული ჩვენგანის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებასთან ერთად უპირველესად შრომის ორგანიზაციისადმი მეცნიერულმა მიდგომამ განაპირობა.

მთავრობის ეს მაღალი ჯილდო უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ახალი მოჯიბების დასაყრობად მოგვიწოდებს. მეტალურგებს გადაწყვეტილი გვაქვს არც ამჯერად გაუტეხოთ სიტყვა. მოპოვებული პოზიციების განმტკიცების მიზნით წელსაც წარმატებით ვიგრძელებთ საიუბილეო შრომითს ვახტს.

ჩვენი პირობა — 15 დეკემბრისათვის შევასრულოთ მოლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლედის სამი წლის გეგმა — წარმატებით შესრულდება.

ზ. ლომიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროსი მექურე.

აღგვაფრთოვანებს, ძალას გვმატებს

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და ახალი კონსტიტუციის მიღების წელი საამაყო შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკებმა. ამ დიდი წარმატებებისათვის საქართველო დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით. საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა მახარაძის რაიონი, კერძოდ, ჩვენი კოლმეურნეობაც, აგრეთვე მახარაძის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება და ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა.

დაჯილდოებულ კოლექტივებს ჩვენი სოფლის მშრომელთა სახელით ვუოლიცავთ ამ დიდ წარმატებას და ამასთან ერთად მაღლობას ვუხდით კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის დაფასებისათვის.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 4.232 ტონა ჩაის ფოთოლი, 4.700 ტონა ციტრუსები, 337 ტონა რძე, 104 ტონა ხორცი და 684 ტონა სიმინდი.

მიღწეული როდი გვაძაყოფილებს. კვლავ ვებმებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება ვიკისრეთ სახელმწიფოს მივცეთ 4.800 ტონა ციტრუსები, 5.000 ტონა ჩაის ფოთოლი, 400 ტონა რძე, 120 ტონა ხორცი და 900 ტონა სიმინდი.

რ. ცეცხლაძე,
მახარაძის რაიონის შრომის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

უფრო მაღლა ავწიოთ შეჯიბრების დროშა!

ბასიხარულო ამბები გვაუწყა ამ დღეებში ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების თაობაზე — უდიდესი აღფრთოვანებითა და კმაყოფილებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

გასაგებია და კანონიერი ამ დოკუმენტით გამოწვეული საქართველოს მშრომელთა სიხარულიც. სამაგალითო მეურნეობის განვითარებაში წარმატებებისათვის, როგორც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აი უკვე ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საკავშირო გარდამავალი დროშები დაისაკუთრეს: აჭარის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ქალაქებმა — თბილისმა და ქუთაისმა, აბაშის, მახარაძისა და თერჯოლის რაიონებმა. ჩვენი რესპუბლიკიდან ბევრმა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციამ — სულ 29 შრომითმა კოლექტივმა მოიპოვა ასეთივე დროშები. მათგან თორმეტი კოლექტივი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომებზეც შეიტანეს.

ეს, მართლაც რომ დიდი გამარჯვებაა. იგი მოპოვებულია საქართველოს მშრომელთა ალალი გარჯით, სიძნელეებთან შეუპოვარი ბრძოლით, პარტიისა და ხალხის საქმისათვის ადამიანთა გულანთებული, გეგმიანი, საზრიანი შემოქმედებითი მუშაობით, რომლის მოთავენი, სული და გული არიან საქართველოს კომპარტია, ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები.

რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სოციალისტური კანონიერების, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის თანმიმდევრულმა და მტკიცე კურსმა მრავალი კეთილი საქმენი ესოდენ თვალსაჩინოდ წარმოაჩინა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველწლიურად გამარჯვებაც ამ კეთილ საქმეთა ერთ-ერთი კარგი დასტურია.

და სწორედ ახლა, როცა მეათე ხუთწლედის მესამე წლის რთულ, მაგრამ საპატიო გზას დავადექით, კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით, მეტი აქტიურობით უნდა შევუტიოთ ყველა სიძნელეს, ყველა დამახინჯებას, დავამკვიდროთ ყველგან და ყველაფერში სანმეშო დისციპლინა და ორგანიზებულობა, შევქმნათ ჭეშმარიტი შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო. ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის უპირველესი მოთხოვნაა, მისი მთავარი აზრი და სულისკვეთებაა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დამრაზმველი სიტყვიდან.

„საჭიროა, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე, — შევნარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. **დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ასეთია დღის ლოზუნგი.** ხოლო უკეთ — ეს ნიშნავს, უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს არის სოციალისტური ვალდებულებების, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის სული და გული“.

დიახ, უკეთ მუშაობის დიდი სურვილი, პატრიოტული მოვალეობის ღრმა შეგნება ამოძრავებთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს, რომლებიც ამ დღეებში ახალ-ახალ ვალდებულებებს კისრულობენ სწორედ მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მშრომელთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებები, რომლებიც განხილული და მიღებულია რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები კისრულობენ, რომ რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ხუთწლედის სამი წლის გეგმა 12 დეკემბრისათვის შეასრულონ. წლიურს წარმოებას გაზრდიან 7,1 პროცენტით, გამოუშვებენ 160 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმოების ინტენსიფიკაციის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების გზით სახელმწიფოს მიჰყიდიან 512 ათას ტონა ყურძენს, 400 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 395 ათას ტონა ხილს, დიდი რაოდენობით ხორცს, რძეს, კვერცხსა და სხვა პროდუქტებს. კარგი დანაპირები აქვთ ჩვენს მშენებლებს, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მუშაკებს, კულტურის, სამეცნიერო და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებს. ეს ვალდებულებანი რომ იკისრეს, საქართველოს მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ გამოიწვიეს მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები, რომელთაც დღეს გულწრფელად ვუოლიცავთ აგრეთვე გასული წლის შრომით გამოწვეულ დიდ სიხარულს — საკავშირო გარდამავალი წითელი დროშებით მათი რეპუბლიკების დაჯილდოებას.

ახლა მთავარზე მთავარია, და როგორც ხალხი ამბობს, სიტყვა საქმით უნდა დავამშვენოთ, ოღონდ უფრო უკეთესი, უფრო ხვავიანი საქმით, რადგან ასეთია ჩვენი წინსვლის, საერთო განვითარების ლოგიკაც.

რა ძირითადი რეზერვები გვაქვს ხელმისაწვდომ? ერთ-ერთი საუკეთესო და დიდმნიშვნელოვანი რეზერვი ის არის, რომ ღრმად გავაანალიზოთ, გავავრცელოთ და ფართოდ გამოვიყენოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქებისა და რაიონების, შრომითი კოლექტივების, მოწინავე ადამიანების გამოცდილება, ცოდნა, მათი მუშაობის ხერხები და მეთოდები. ჩვენი დიდი საპატიო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის პროცესში დღენიადაგ ჩნდება მასობრივი აქტიურობისა და ინიციატივის ახალ-ახალი ყლორტები, რომლებსაც მოვლა და მზრუნველობა სჭირდება, რათა ყველგან მომძლავრდეს, ფესვი გაიდგას, გაიზაროს და სახსოვრული ნაყოფთაც დაიხუნძლოს. ბევრგან იბადება სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები, რომლებიც პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღებითა და ზრუნვით აგრეთვე ხულ უფრო მეტსა და მეტ შრომითის კოლექტივში უნდა მკვიდრდებოდეს. შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის—მოსკოველთა, ახალშენებლობების შეკვეთების ვადამდე შესრულებისათვის ლენინგრადელთა, ლითონის დაზოგვისათვის—ჩელიაბინსკელთა, საყოველთაოდ ცნობილი ზლობინელთა თუ შჩეკინოელთა და სხვა მრავალ ინიციატივებს ხალხისან ნაკადულად ერთვის ჩვენი რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების არაერთი ძვირფასი წამოწყება, სიახლე, თაოსნობა. საქმეუნოდ გაითქვეს სახელი მათმა ავტორებმაც — კურტანიძემ, რომნისთაველმა, გეგეშიძემ და სხვებმა.

დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსთაველთა ინიციატივას — „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით!“ — და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის წამოწყებას, რომ არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

ამიტომ აქედანვე მუშაობის აწყობილი რიტმი და კარგი ტემპია საჭირო, რომ მიმდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი აუცილებლად და წარმატებით შესრულდეს. თუმცა საერთოდ დასაწყისი ცუდი არ არის, მაგრამ როგორც ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზეც აღინიშნა, გასული წლის ზოგი ნაკლი წელსაც შეორდება, რომ ზოგ უბანზე უნარიანად ვერ იყენებენ ხაიუბილეო წლის დადებით გამოცდილებას, რომ ზოგიერთმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელმა ამთავითვე ფეხი ვერ აუწყო დროის დიდ მოთხოვნებს.

შეუწყნარებელია, რომ იანვარში ათობით საწარმოში წარმოების დაგეგმილი მოცულობანი შარშანდელზე ნაკლები იყო. მაგალ რვა საწარმომ შემცირებული ხაგეგმო დავალებანიც კი ვერ შეასრულა. განა ზოგიერთ კოლექტივში მუშაობის ცუდ ორგანიზაციაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ უვარგის პროდუქციას უშვებენ და გასული წლის შედეგებთან შედარებით გაიზარდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი?! დადებითი ძვრების მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლის მეურნეობაშიც. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეამცირეს წველადობა, ცუდად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. უხეირო და უგერგილო მუშაობის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორც მრეწველობიდან და სოფლის მეურნეობიდან, ასევე მშენებლობებიდან, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებიდან, რესპუბლიკის ხახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან. საჭიროა ყველა ჩამორჩენილ კოლექტივი, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უფრო აქტიური და საქმიანი ჩარევით, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების უფრო კვალიფიციური, კომპეტენტური ხელმძღვანელობით, განსაზღვროთ ჩამორჩენის მიზეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის აღსანიშნავად გაჩაღებული შეჯიბრების შრომითი რიტმი, ტემპი და შემართება. სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს ჩვენი ორგანიზატორული უნარიც და პოლიტიკური სიტყვის ქმედითობაც.

დიდი ჯილდოთი გამოწვეული სიხარულის დღეებშიც /რესპუბლიკის კომუნისტებს, ჩვენს მშრომელებს ხელ უფრო ეუფლებათ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ამას მოწმობს ის ამაღელვებელი და თბილი წერილები, რომლებსაც „კომუნისტის“ რედაქცია ამ დღეებში იღებს. მათში გამოთქმულია საერთო მისწრაფება და სურვილი, რომ **საქართველოს მშრომელებმა მიმდინარე 1978 წელი ნამდვილ დამკვრელურ შრომის წლად გადააქციონ, მთელი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ სახელმწიფო გეგმების და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე, წარმატებით შესრულებახ.** ბევრი მათგანი თავიანთი კოლექტივების სახელით გვაუწყებს, რომ ხუთწლედის სამი წლის დავალება სურთ ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის გაანაღდონ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში — „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ — არის ახეთი სტრიქონები:

„მოდით, ამხანაგებო, მეურნის თვალით განვსაჯოთ როგორ მოვაწყოთ მუშაობა უკეთ ახალ წელს, როგორ გამოვიყენოთ უფრო სრულად რეზერვები, რა უნდა გაკეთოს ამისათვის თითოეულმა თავის სამუშაო ადგილას, საამქროში, მშენებლობაზე, ყანაში, ფერმაში, საკონსტრუქტორო ბიუროში“.

უფრო მაღლა გვეჭიროს საყოველთაო სახალხო მოძრაობის, მასების ამ ცოცხალი შემოქმედების — სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა გაიხსნება 1978 წლის 17 თებერვალს, დილის 10 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატები



ახალგაზრდების წინამძღოლი

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება ერთ-ერთი მოწინავეა დედაქალაქში. მის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს აქ მომუშავე ორი ათასზე მეტ კომკავშირელსა და ახალგაზრდას, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობს გაერთიანების კომკავშირის კომიტეტი ახალგაზრდა ინჟინრის ილია ჭრელოშვილის მეთაურობით.

ილია გაერთიანების ახალგაზრდობის ნამდვილი წინამძღოლია. იგი გულისხმიერი, ყურადღებიანი, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მეტად მომთხოვნი ახალგაზრდაა, კოლექტივში კარგი ავტორიტეტი აქვს, ყოველდღიური საქმიანობით მაგალითის მიმცემია სხვებისათვის.

ამიტომაც იყო, რომ ილია ჭრელოშვილი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ხურაოზე. ი. ჭრელოშვილი.
ხ. კილაძის ფოტო.

საკლესიო ცნობა

ემზადებიან ტექნოლოგიური ექსპერიმენტისათვის

ფრუნზის მართვის ცენტრი, 14 თებერვალი. (საკადესი). კოსმონავტები იური რომანენკო და გეორგი გრეჩკო განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6“-„სოიუზ-27“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში. დღეგანწილი დღის პროგრამაშია მოსამზადებელი ოპერაციები ტექნოლოგიური ექსპერიმენტებისათვის. ეკიპაჟი ამონტაჟებს მოწყობილობას, რომელიც სადგურში „პროგრეს-1“ ავტომატურმა სატვირთო ხომალდმა მიიტანა.

კოსმონავტებმა დაამონტაჟეს ელექტროსახურებელი კამერა სპეციალურ სარაბე ნაკვეთურში, დადგეს მართვის პულტი, რომელიც ექსპერიმენტებისათვის არის ანკუთვნილი, შეუერთეს ელექტროგასაზორები. აპარატურის საკონტროლო შემოწმების შემდეგ ეკიპაჟმა მოგვახსენა, რომ მოწყობილობა მზად არის.

დღის განმავლობაში კოსმონავტები მოამზადებენ აგრეთვე სამეცნიერო და ფოტოაპარატურას მომავალი კვლევისა და ექსპერიმენტებისათვის.

ეკიპაჟის მოხსენებათა თანახმად, ორბიტულ კომპლექსში მუშაობა დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

საგჭოთა მთავრობის მოწვევით

14 თებერვალს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური სამდივნოს წევრი მაიორი აბდელ სალამ ჯალუდი.

ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკადესი).

დაჯილდოება

საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და ორგანიზაციაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ანატოლი პეტრეს ძე **ალექსანდროვი** დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უფრო ფართოდ განვავითაროთ საზოგადოებრივი თვითმმართველობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მიკრორაიონების საბჭოების საქმიანობის ზოგიერთი შედეგის შესახებ და მოიწონა ქალაქ თბილისის ლენინის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში, ქალაქებში გორსა, ფოთსა, ქუთაისსა და რუსთავში სოციალურ-მმართველობითი ექსპერიმენტის წესით შექმნილი მიკრორაიონების ეკვნი საბჭოს მუშაობის შესაბამისი და დადებითი გამოცდილება.

ამ საბჭოების შექმნა მიზნად ისახავდა სახალხო დეპუტატთა საქალაქო (ქალაქის რაიონული) საბჭოების, მათი აღმასკომებისა და დარგობრივი სტრუქტურული რგოლების განტვირთვას ადამიანთა ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებული ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტისაგან, მიკრორაიონის ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი ხელმძღვანელობაში კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას. მიკრორაიონების საბჭოები უნდა დაეხმარონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტაში, გააფართოონ მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოების საქმეთა მართვაში, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაიბან ადგილობრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში, მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, დანერგონ საზოგადოებრივი თვითმმართველობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მიკრორაიონების საბჭოების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გაძლიერონ მოსახლეობასთან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კავშირი, დაუახლოონ მას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აამაღლონ მასების აქტივობა, გაძლიერონ მათი ზემოქმედება მიკრორაიონის ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაზე, აგრეთვე გაუადვილონ მოქალაქეებს ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გადაწყვეტა. მიკრორაიონების საბჭოებმა უნდა გაანავითარონ ადამიანთა შრომითი და საზოგადოებრივი ინიციატივა, უხელმძღვანელონ მოსახლეობის თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობას, დაეხმარონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ადგილებზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ღონისძიებათა განხორციელებაში, მასები ჩაბან პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებაში, განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისადმი, რომლებიც მოსახლეობას ეწესახურებიან.

მიკრორაიონების საბჭოების შექმნა და მათი საქმიანობა შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარების შესახებ, სსრ კავშირის კონსტიტუციის მეელ სელისკვეთებას, მის დებულებებს ადგილებზე მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის განვითარების, მართვაში მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში მათი ჩაბმის შესახებ, საგულისხმოა, რომ მიკრორაიონების საბჭოების წინაშე წინა პლანზე დადგა საქმის მორალური, ზნეობრივი მხარე, ადამიანისადმი ყოველდღიური ყურადღებისა და გულისხმიერების დამკვიდრება, რის მნიშვნელობაც განსაკუთრებით აღინიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე.

მიკრორაიონების საბჭოების შემადგენლობაში შევიდნენ მუშები, მოსამსახურეები, პენსიონერები, დიასახლისები, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წარჩინებული ადამიანები, წარმოების მოწინავეები, ომისა და შრომის ვეტერანები. საბჭოებმა აირჩიეს თავიანთი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები — კომიტეტები. საბჭოების საქმიანობის დარგების მიხედვით შეიქმნა სექციები.

მიკრორაიონების საბჭოები მართავენ და თვითმმართველობაში ფართო მასების ჩაბმის ქმედითი ფორმა გახდნენ, ისინი თითქოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასკომების სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან მიკრორაიონებში, მათ საკმაო პრაქტიკული შედეგები მოიპოვეს ბევრი საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც მოსამსახურებელი ტერიტორიის მასშტაბით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას შეადგენენ.

მიკრორაიონების საბჭოების საქმიანობაში გავრცელდა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ნაცადი ფორმები და მეთოდები, ისე საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური მონაწილეობისათვის მოსახლეობის მიზიდვის ახალი ფორმები და მეთოდები.

საბჭოების სხდომებზე იხილავენ ადგილობრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, მასში მონაწილეობენ ფართო აქტივი, საბჭოების ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, საქალაქო (რაიონული) რგოლის შესაბამისი სამსახურებისა და დარგების წარმომადგენლები. მიკრორაიონები საბჭოების პრაქტიკაში ნერგავენ აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მომსახურების სფეროს მუშაკთა აქტივის კრებების მოწყობას, რომლებზეც, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, იხილავენ კონკრეტულ ამოცანებს. მიკრორაიონების საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა მასობრივი დათვალიერებებისა და რეიდების მოწყობა სამართალდარღვევათა გამოვლენისა და აღკვეთისათვის, სავაჭრო ორგანიზაციებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, სანიტარიული მდგომარეობის, საბინაო ფონდის დაცვის, წყლის, გაზის, ელექტროენергიის რაციონალური გამოყენების შემოწმებისათვის. ფართო გაქანება შეიძინა ტერიტორიების გამწვანების, კეთილმოწყობის, დასუფთავების შაბათობებმა. მიკრორაიონების საბჭოებმა მნიშვნელოვან დადებითს ძვრებს მიაღწიეს მოსახლეობის წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის ორგანიზაციაში, მოქალაქეთა მიღების საქმის მოწესრიგებაში, ამასთან ძირითად ყურადღებას უთმობენ ფართო საკაროობას. მიკრორაიონების საბჭოები თავიანთ საქმიანობაში უნარიანად ეყრდნობიან ადამიანთა გაზრდილ საზოგადოებრივ აქტივობას, საზოგადოებრივ აზრს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მიკრორაიონების საბჭოები, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საქალაქო (ქალაქის რაიონული) საბჭოების ორგანიზაციულ-საზოგადოებრივ რგოლებად გადაიქცა, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ მასების ფართო მონაწილეობას აგგილობრივი საქმეების მართვაში, „ნამდვილი სახალხო თვითმმართველობის“ ლენინური იდეის განხორციელებას, ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებათა, მოთხოვნილებათა და მოთხოვნათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების დადგენილებების, ამ ფორუმებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებისა და გამოსვლების დებულებებისა და დასკვნების განხორციელებას სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებაზე ზრუნვის გაძლიერების დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო, რომ მრავალფეროვანი ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების შესაბამისად მიკრორაიონების საბჭოების საქმიანობის უფრო სრული და ყოველმხრივი აპრობაციის, მათი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და ფუნქციური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის მიზნით საზოგადოებრივი თვითმმართველობის ეს ფორმა გავრცელდეს რესპუბლიკის დიდი ქალაქების სხვა მიკრორაიონებშიც.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო და რაიონულ, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის საქალაქო კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო (ქალაქის რაიონული) საბჭოების აღმასკომებს დაევალათ განიხილონ და გადაწყვეტონ მიკრორაიონების ახალი საბჭოების ორგანიზაციის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ რაიონებისა და ქალაქების პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ყურადღება მიაპყრო იმსა, თუ რა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ მიკრორაიონების საბჭოებს, შეუქმნან მათ მუშაობის საჭირო პირობები, დროზე და სწორად გამოეხმაურ

სამშობლოს ჯილდო გვაქვალებს

ხუთწლედის მესამე წელი

მეცხოველთა შეჯიბრება

გადავაქციოთ საქართველო მეცხოველეობის მოწინავე რესპუბლიკად!

140.000 ტონა ხორცისა და 265.000 ტონა რძისათვის

ვინ მოიკოვებს გარდამავალ დროშას, ვიმპელს, სპეციალურ სიგელს!

ქარგა ხანია პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაპარხვებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მკვეთრი აღმავლობის შესახებ.

ამ წერილებთან დაკავშირებით ბაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალით გაშლისათვის დაარსებულ გარდამავალი წითელი დროშა, ფასიანი საჩუქარი, ვიმპელები და სიგელები.

ამ საპატიო ჯილდოების მოპოვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმები, ქალაქისა და სოფლის წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივები, მშრომელები ხალისით ჩაებნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ჩვენ გაზეთის ამ გვერდში გამოქვეყნებული წერილები მოგვითხრობენ რესპუბლიკის მშრომელთა ამ პატრიოტულ თაოსნობაში საპატიო წვლილის შეტანის შესახებ, იმაზე, თუ ხუთწლედის მესამე წელს ვინ რას გააკეთებს იმისათვის, რომ წლის ბოლოს დიდი გადამეტებით შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებიც და ვალდებულებებიც. აქვე ვბეჭდავთ უკრაინის სსრ კიევის ოლქის ფასტოვის რაიონის მეცხოველეთა გამოცდილების შესახებ თუ როგორ გაადიდეს ხორცისა და რძის წარმოება საკარმიდამო მეურნეობაში.

საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! ერთსულოვნად ჩაებმით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საბჭოთა წვლილი შეიტანოთ ამ საყოველთაო სახალხო საქმეში, საქმით განვაპირობციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის დადგენილება — გადავაქციოთ საქართველო მეცხოველეობის მოწინავე რესპუბლიკად!

ინიციატივა

კომკავშირული ზრუნვა

□ გარდაბნელი ახალგაზრდები ვალდებულებას კისრულობენ პირუტყვისათვის დაამზადონ 70 ათასი ტონა უხეში საკვები, 20 ათასი ტონა სილოსი.

□ დამზადებული უხეში საკვების საკმაო ნაწილი შრომის ანაზღაურების სახით მიეცემა რაიონის მოსახლეობას.

□ გარდაბნელები ყველა რაიონის ახალგაზრდობას მოუწოდებენ, მიბაძონ მათს მაგალითს, უპირველ რესპუბლიკის მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

ჩვენი რაიონის კომკავშირელებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ 1978 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ამ ვალდებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირუტყვის საკვების დამზადებაში დასახულ მიზნებს, ეს გასაგებიც არის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხორცის წარმოების გადიდების შესახებ რესპუბლიკის მშრომელებისადმი მიმართვაში ხომ იმედს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდობა ჩვეული მგზნებარეობით იბრძოლებს ამ საარსებო მნიშვნელობის ამოცანის განხორციელებისათვის.

რაიონს ახალგაზრდობას გადაწყვეტილი აქვს, საკუთარი ძალებით უზრუნველყოს მთლიანად რაიონის საკვების დამზადების გეგმის 60 პროცენტის შესრულება, რაც დაახლოებით 16 ათასი ტონა თივის, 30 ათასი ტონა სენაჟის, 20 ათასი ტონა სილოსის, 4 ათასი ტონა ნამჯის დამზადებას გულისხმობს. აქედან 22 ათას ტონა უხეშ საკვებს დაამზადებენ ზაფხულის პერიოდში მოსწავლეებისაგან შემდგარი შრომითი რაზმები, საკვების დამზადებაში აქტიურად ჩაებმება დამატებით შექმნილი 15 საკვებმომამზადებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, ისინი ყოველ ოთხეს იხმარენ იმისთვის, რომ მინდორში არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი ნამჯა და თივა, მაქსიმალურად გამოიყენონ მემცენარეობის, მეღვინეობის, საკონსერვო ქარხნების ანარჩენები.

ახალგაზრდობის მიერ დამზადებული უხეში საკვების საკმაო ნაწილი შრომის ანაზღაურების სახით მიეცემა მოსახლეობას.

მოვუწოდებთ ყველა რაიონის ახალგაზრდებს, მიბაძონ ჩვენს თაოსნობას და აქტიურად ჩაებნენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ბრძოლაში.

ი. ნოვროზოვი — საქართველოს ალკკ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი; **ე. ოდიშარია** — ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; **ბ. ჯინჭარაძე** — სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი; **რ. იხანდერი** — ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის ბრიგადირი; **ნ. სანმარაული** — სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

საკარმიდამოს წიალი

500 კილოგრამს მივუვიდი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს გულითადად გამოეხმაურნენ ჩვენი მეურნეობის მეცხოველეები და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. საერთო შრომის ფერხულში მეც ჩავები. შარშან პირად მეურნეობაში გამოვზარდე ექვსი ღორი და სახელმწიფოს 670 კილოგრამი ხორცი მივყიდე.

გადავწყვიტე პარტიის მოწოდების პასუხად კვლავ შევიტანო საკუთარი წვლილი — კიდევ გავასუქო ღორები და სახელმწიფოს 500 კილოგრამი ხორცი მივყიდო.

ვ. ცერცვაძე,
ზნაურის რაიონის ბეყმარის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

სკოლაშიც

ხელვაჩაური. (საკ. კორ.) ხორცის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივი მეურნეობები, სკოლები, სხვა ორგანიზაციები. კირნათის სკოლა-ინტერნატში შარშან გაასუქეს ღორები და სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.800 კილოგრამი ხორცი, წლეულს უფრო დიდი ვალდებულება იკისრეს. კირნათელებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 5 ტონა ხორცი.

ამავე რაიონის სარფის კოლმეურნეობა ასუქებს 100 ღორს, ახალშენისა — 72-ს, სანაშენე საბჭოთა მეურნეობა — 1.062-ს.

ხორცი პირადი მეურნეობიდან

სხუმი. (საკ. კორ.). სოფელ ბესლეთის კოლმეურნეობა „აბჟუ“-ის წევრმა ჯიგო კალანდიამ ამ დღეებში სახელმწიფოს მიჰყიდა 760 კილოგრამი ღორის ხორცი, ამ ხანებში 700 კილოგრამი. ამავე სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ბალაქტინ ფხალაძემ 620 კილოგრამი ხორცი ჩაბარა კოლმეურნეობის მიმდებ პუნქტს, და გადაწყვიტა კიდევ 1.000 კილოგრამი ჩაბარდეს.

ი. გოგაჩია.

ასუქებენ 2.057 ღორს

ქობულეთი. (საკ. კორ.). რაიონის მეცხოველეებმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მთელი ძალით გააჩაღეს ბრძოლა. ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ასუქებს 450 ღორს. ასევე აქტიურობენ ჩაქვის მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობების, დაგვის, ქვედა აჭყვისა და სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეები. სულ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები წლეულს გაასუქებენ 2.057 ღორს და სახელმწიფოს დიდძალ ხორცს მიჰყიდიან.

მ. გორგილაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები პრაქტიკული საქმეებით გამოეხმაურებიან ამ წერილს, გულდასმით გამოქმედნიან და მაქსიმალურად აამოქმედებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვებს, ქალაქისა და სოფლის თითოეულ მშრომელს დარაზმავენ, გულს აუნთებენ, ჩააბამენ მეცხოველეობის განვითარებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ლაშქრობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან რესპუბლიკა, ყველა მშრომელისადმი.

„პირად მეურნეობებს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ და ვიზრუნოთ მათზე“.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ქიევის ოლქის მეცხოველეებმა მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინეს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებათა პასუხად მათ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთწლედის ბოლოსთვის გათვალისწინებულ დონეს უკვე 1979 წელს მიაღწონ. შეჯიბრების ინიციატორებს მიუღოცა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა და რწმენა გამოთქვა, რომ ამ პატრიოტულ თაოსნობას ჩვენს ქვეყანაში ფართოდ დაუჭერენ მხარს.

უკრაინელი მეცხოველეების მაღალი ვალდებულება ეყრდნობოდა არა მაშველ ენთუზიაზმს, არამედ მერძეულ-მეხორცეული მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ინტენსიურ განვითარებას, პროუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებას, ფერმებში შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფ ზრდას. ეს არის მთავარი, მაგისტრალური მიმართულება. თავიანთი დაძაბული გეგმების შემუშავებისას ოლქში ერთი რეზერვიც კი არ დავიწყებიათ, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება მიაქცია ოქტომბრის პლენუმზე — კოლმეურნეთა, მუშებისა და მოსამსახურეების პირად მეურნეობებში სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

ეი როგორი იყო კიევის ოლქის მოწინავე ფასტოვის რაიონის 1977 წლის ვალდებულებები: სახელმწიფოს მიეყიდებოდა 31 ათასი ტონა რძე — ეს 12 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს და ცოტათი უფრო მეტი, ვიდრე ყველაზე ხელსაყრელ 1974 წელს. რაც შეეხება მოსახლეობისაგან შესყიდვას, დასახულია რძის შესყიდვა გაზარდონ 2.500 ტონამდე, ე. ი. გაადიდონ 208 პროცენტით. ვალდებულება შესრულდა!

პირადი მეურნეობისაღმი დამოკიდებულება სოფელში მკვეთრად იცვლება. საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში გაარტიერებულმა ფულადმა ანაზღაურებამ პირადი მეურნეობის პროდუქცია არათუ მეორეხარისხოვანი, არამედ მესამეხარისხოვანი შემოსავლის წყაროდ აქცია. და მაინც საკარმიდამო მეურნეობაზე რომ უარი ვთქვათ, რასაკვირველია, ნაადრეია. თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებით: ჩვენი აზრით, სოფლის მცხოვრებს პირად მეურნეობას რომ გაუძღვეს, დახმარება სჭირდება, რათა მინიმუმამდე შეამციროს დროის არასაწარმოო დანახარჯები, ძროხის კვება და მოწველა ძნელი არ არის, მაგრამ მისი ძოვება, თივის დამზადება, კომბინირებული საკვების შოვნა იმდენ პრობლემას წარმოშობს, რომ ძროხის ყოლას ყოველგვარი სურვილი იკარგება. ანდა ავიღოთ გოჭი, მისი გამოკვებაც დიდი საქმე არ არის, ნაგრამ დაგოჭება ხომ ჩვეულებრივი გაწამაწია. მამასადამე, ან უნდა შეიპა გაწამაწიას, ან გოჭი მასისსლად იყიდო ბაზარში.

მაშ როგორ არის კარგი? ისე, როგორც ეს ფასტოველებმა ქნეს. მათ შარშან მოსახლეობას სახელმწიფო ფასად ცენტრალიზებული წესით მიჰყიდეს ათი ათასი გოჭი — ეს ხაზოგადოებრივი წარმოების მთელი სულადობის 40 პროცენტია, ხოლო ბურვაკის საშუალო ნასუქობამდე მიყვანას დიდი ჯაფა არ სჭირდება.

უფრო რთულია ძროხების საკვების საქმე. მაგრამ გამოსავალი აქაც მონახეს. **მოწესრიგდა უხეში და წვნიანი საკვების შესაღება. თითოეულს შეუძლია მოთხოვნილებისამებრ მეურნეობაში შეისყიდოს ნამჯა, ფოჩი, ენეფო და კოლმეურნეობის ტრანსპორტით შინ მიიტანოს, რაც შეეხება კომბინირებულს, იხ ჯერ არ კმარა, რის გამოც ახეთი წესი შემოიღეს: თითოეულ მიყიდულ ლიტრ რძეზე კოლმეურნე 200 გრამ კომბინირებულ საკვებს მიიღებს. ეს დახმარებაც არის და სტიმულიც.**

არის კიდევ ერთი სტიმული, საკმაოდ ეფექტიანი, რომელიც გამოყენებულია ფასტოვის რაიონში — გაზრდილი მოთხოვნილების სანერლის მიყიდვა, როგორიც არის ავტომანქანები. საშინი მასალები.

დაეყრდნენ რა ასეთ კომპლექსურ პროგრამას, ფასტოველებმა მოსახლეობისაგან რძის, ხორცის და კვერცხის შესყიდვის საკუთარი გეგმა შეიმუშავეს. არსებულ შესაძლებლობათა თვალსაზრისით, გეგმა რეალურზე რეალურია.

სახელმწიფოს რომ ჩაბარდეს გათვალისწინებული 2,5 ათასი ტონა რძე, საჭიროა ძროხის თითოეულმა მფლობელმა წელიწადში საშუალოდ მიჰყიდოს მხოლოდ 500 ლიტრი. ეს არცთუ ისე ბევრია სწორეც ამიტომ არის იგი ინდივიდუალური მფლობელი, რომ ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. ასეთ მიდგომას პრაქტიკულად ახორციელებს ოლენივკის სასოფლო საბჭო.

ოლენივკა თანამედროვე ლამაზი ტიპობრივი უკრაინული სოფელია. მაგრამ მე დღეპრისპირა ბუნების სილამაზის აღწერას არ შეეუდგები. ჩემთვის გაცილებით ხატოვანია ციფრები, რომლებიც სოფლსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გრიგოლ დუბრაკამ გამაცნო. სოფლისთვად იგი 2 წლის წინათ აირჩიეს, მანამდე კი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

რით დაიწყო გრიგოლ იაკობის ძემ? პირველ ყოვლისა, მოაწესრიგა რძის მიყიდვის ყოველდღიური აღრიცხვი. მან გადაშალა მოსწავლის უბრალო რვეული, გვიჩვენა გვარების სვეტები და მათ გასწვრივ ჩამწკრივებული ციფრები და თქვა: ყველა მეპაიე „მაგიდაზე“ მიდგას. როცა მეპაიეები „მაგიდაზე“ აღმოჩნდნენ, უმალ ნათელი გახდა, რომ რძის მიყიდვა-შესყიდვაში არავითარი სისტემა არ არსებობს. ვის რამდენიც უნდოდა, იმდენს აბარებდა. პირად ნახირში 175 ძროხაა. ყოველ 2 სულზე თითო მოდის. სასოფლო საბჭოს სეხიაზე დუბრაკამა დეპუტატებს შეუთავაზა კონტროლი დაეწესებინათ რძის შესყიდვისადმი, შემოეკლოთ ყველა კომლი, გასაუბრებოდნენ თითოეულ მფლობელს, განესაზღვრათ, თუ რამდენის ჩაბარება შეეძლოთ დამატებით.

„მხოლოდ მიხვიდე და მოელაპარაკო, ეოტაა, — თქვა გრიგოლ იაკობის ძემ,—საჭიროა პირადი მაგალითი. საშუალოდ ჩვენთან თითოეულ ძროხაზე დღეში 2,4 ლიტრ რძეს აბარებენ, დეპუტატები კი — ათიდან ოცამდე“.

თუ სახოფლო საბჭოში თითოეული მცხოვრებისგან რძის შესყიდვას აღრიცხავენ, მაშინ რაიაღმასკომში გროვდება ყოველდღიური ცნობა ცალკეული სოფლსაბჭოდან. ეს საშუალებას იძლევა დავინახოთ

მეგობრების გამოცდილება

პირადი მეურნეობის რეზერვები

უკრაინის სსრ კიევის ოლქის ფასტოვის რაიონის მეცხოველეთა გამოცდილება — ყველას!

მთლიანი სურათი და დროულად განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი. სოფლსაბჭოებს შორის გაშლილია შეჯიბრება. სამმა გამარჯვებულმა მიიღო მსუბუქი ავტომობილი სამსახურებრივი სარგებლობის უფლებით.

„ყველაზე მთავარია, ადამიანები არ მოვატყუოთ, — თქვა დუბრაკამ, — თუ დაპირდი — შეუსრულე კიდეც“. მე შემდეგ კოლმეურნეებს ვესაუბრე და უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. სოფელში ხომ არაფერი დაიმალება.

თითოეულ ადამიანთან ინდივიდუალური მუშაობა რძის შესყიდვის ყოველდღიური აღრიცხვა, სტიმულირების მოქნილი სისტემა — აი რა არის ოლენივკის სოფლსაბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საწინდარი.

თავიანთი ვალდებულებები ოლენივკელებმა სასოფლო ყრილობაზე მიიღეს, აქეე გაფორმდა კოლმეურნეობის შემხვედრი ვალდებულება, მაგალითად, მეცხოველეობაში, რაც იმას გულისხმობს, რომ კოლმეურნეობა სოფლის მეცხოვრებლებს მიჰყიდის 500 გოჭს.

იბადება კითხვა საიდან ჰყავს კოლმეურნეობას ზედმეტი გოჭები? ისინი ზედმეტი სრულებითაც არ არიან. **ადრე ნეზვებს, რომლებიც ჩასაბარებელ წონას მიაღწევდნენ, ხორცკომბინატს აბარებდნენ. ახლა მათ დაგოჭინებებამდე აჩერებენ. შემდეგ კი გოჭებს მეცხოვრებლებს მიჰყიდიან, ამით გადაჭარბებით ანაზღაურებენ ღორების გახანგრძლივებული შენახვისათვის გაწეულ ხარჯებს.**

რეზერვი — ფრანგული სიტყვაა. იგი ნიშნავს მარაგს, ახალ წყაროს, საიდანაც დამატებითს ძალებს იღებენ, ფასტოვის რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ახალი წყაროა ჩვეულებრივ პირად მეურნეობაში აღმოაჩინეს. **რაიონში ერთი მანეთის კაპიტალური დაბანდებაც არ დასჭირებიათ, არსებითად ისე დაუმატეს კიდევ ერთი „კოლმეურნეობა“.** მაგრამ განა ყურადღება და ზრუნვა, რასაც აქ იჩენენ პირადი მეურნეობის მიმართ, ნაკლებ მცდელობას საჭიროებს, ვიდრე კაპიტალური დაბანდებების ათვისება, სამაგიეროდ შედეგი ჩანს.

ფასტოველთა გამოცდილება ფართოდ ვრცელდება, და არა, მარტო უკრაინაში. ამას წინათ ფასტოვში სტუმრად იყო მასთან შეჯიბრებაში ჩაბმული მოსკოვის ოლქის ჩეხოვის რაიონის დელეგაცია. მოსკოველებმა შეისწავლეს შესყიდვის ყოველდღიური აღრიცხვისა და სტიმულირების ფასტოვური სისტემა. სწორედ ეს არის შეჯიბრების ძალა, რომ ერთის გამოცდილება მეორის საკუთრება ხდება.

ვ. ძაჯაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

□ მთის სოფლებში შევქმნათ მეცხოველეობის ახალგაზრდული რაზმები, დაბები □ კვლავ გაიღვიძოს ცხვარ-ძროხით მთები!

ახალგაზრდებო, მთები გვიხმობს!

ხორცის წარმოების გაღიდების თაობაზე რესპუბლიკის მშრომელებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში ხაზგასმულია, რომ მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება საერთო-სახალხო საქმეა.

ამ დიდ ლაშქრობაში სოფელს ქალაქი უნდა ამოუდგეს მხარში. ეს კი თითოეულ ჩვენგანს გვავალებს, ვიზრუნოთ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში პირადი წვლილის შეტანისათვის.

ამაზე სერიოზულად უნდა იფიქრონ ჩვენმა ახალგაზრდებმა.

ხასურველია, პარტიის მოწოდების პასუხად გამოიჩინონ პატრიოტული თაოსნობა, ხელი მომკიდონ მეცხოველეობას, ამ დარგის აღმავლობას, იზრუნონ იმისათვის, რომ კვლავაც გაიღვიძოს მთები ცხვარ-ძროხით.

მოსაზრებები, რომელთაც ამ წერილში გამოვთქვამ, ბამზე მუშაობის დროს დამებადა. იქ, უდაბურ ტყეში, ჩვენი შედეგაბებული კოლექტივის შრომისა და ცხოვრების მაგალითის საფუძველზე განმიმტკიცდა შემდეგი აზრი: **ძირითადად ახალგაზრობის მონაწილეობით საქართველოს მაღალმთიან ზონაში, გამოუყენებელ ადგილებში (ფშავ-ხევსურეთი, ზემო რაჭა, სვანეთი, მთათუშეთი, ხულო, აფხაზეთის მთიანი ზონა) ადგილობრივი საკვები რეზერვების ხარჯზე ჩამოყალიბდეს მეცხოველეობის ფერმები, აშენდეს მუდმივი საცხოვრებელი დაბები.**

ამ დიდ საქმეს წინ უნდა უძღოდეს მაღალმთიან ზონაში ექსპერიმენტისათვის რამდენიმე ადგილის შერჩევა, სადაც გაიგზავნება კომკავშირელებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 50-100-კაციანი რაზმები. ისინი მოუვლიან პირუტყვს, დაამზადებენ საკვებს და შეასრულებენ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს. წინასწარ მაქვს წარმოდგენილი თმას შეუფენილი პირუტყვი, ახალი დაბები, ჩვენი კომკავშირელი მწყემსები, რომლებსაც მუშაობისა და ცხოვრების სათანადო პირობები ექნებათ.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დავაინტერესოთ, აქედანვე უნდა ვიფიქროთ ჩვეულებრივ მეცხოველეებთან შედარებით მათ უფრო მაღალ ანაზღაურებაზე, ავრეთვე მთელ რიგ წამახალისებელ ღონისძიებებზე (მსუბუქი ავტომანქანების გამოყოფა, სათანადო პრემიების დაწესება და სხვ.) მთის საძოვრებზე ახალგაზრდობის დამაგრებისათვის, ვფიქრობ ორი წლის მუშაობის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე მათ უნდა გამოეყოთ 1000-1500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი; მიეცეთ კრედიტი ინდივიდუალური ბინის ასაშენებლად; ყოველწლიურად გამოეყოთ ტურისტული საგზური საშოგზაურად და კურორტზე დასასვენებლად.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდობა ჩვეული მგზნებარეობით გამოეხმაურება ამ თაოსნობას და პრაქტიკული საქმეებით უპასუხებს პარტიის მოწოდებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რეზერვების გამოძებნისა და ამოქმედების შესახებ.

რ. კიკაბიძე,
ინჟინერ-მექანიკოსი.



სურათზე: აი ახეთია გარდაბნის რაიონის თელეთის მეცხოველეობის ექსპერიმენტული მეურნეობის ფერმა, სადაც თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია.

ი. დავითაშვილისა და შ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ელიშე ჩარენცის საიუბილეო საღამო თბილისში

მგზნებარე პოეტი

მართალია, გამოჩენილი სომეხი პოეტის ელიშე ჩარენცის იუბილეს ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს, მაგრამ საქართველოსთვის განსაკუთრებით მახლობელია მისი პოეტური სიტყვა. ამიტომაც სულ სხვა ელფერი ახლდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში 13 თებერვალს გამართულ საიუბილეო საღამოს, რომელიც მე-20 საუკუნის სომხური ლიტერატურის კლასიკოსის მე-80 წლისთავს მიეძღვნა. ელიშე ჩარენცის შემოქმედება ჩვენთვის მახლობელია თუნდაც იმიტომ, რომ მისი პოეტური ნათლება თბილისში მოხდა 1912 წელს. აქ სომხურ ლიტერატურულ ალმანახში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ნაზი ყვავილები“. ხოლო შემდეგ, როდესაც ელიშე ჩარენცი აღიარებული პოეტი გახდა, მას ბევრი დამფასებელი ჰყავდა ქართველ მგზნანთა შორის. საკმარისია დავასახელოთ ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი და სხვები, რომლებთანაც ე. ჩარენცის მეგობრობა ორი ხალხის კეთილმეზობლური შემოქმედებითი ურთიერთობის საყურადღებო ფურცელია.

საქართველოსადმი სიყვარულის დასტურია ელიშე ჩარენცის შესანიშნავი ლექსი „სამღერა მოძმე საქართველოზე“, რომელიც ორმოცი წლის წინათ დაიწერა და რომელშიც ნათქვამია, — „დიადო მხარევ, ფერად-ფერადი და ახიდული მთებით ზეკამდე, გაზაფხულისკენ მიისწრაფოდე და შენს დიდ მიზნებს მარად იცავდე“. სიყვარულს სიყვარული მიუზღო ქართველმა მწერალმა. აი რას ამბობს გიორგი ლეონიძე დიდ სომეხ პოეტზე: „ტკივილს გრძნობ გულში, როცა ჰხედავ, რომ ისეთი ძალუმი პოეტი, დიდი ტალანტი, როგორც ჩარენცი იყო, ალარ არის ჩვენს შორის... ჩარენცი ჩემი თაობის პოეტთაგანია. კარგად ვიცნობდი დავუშეგობრდი. ელიშე ჩარენცი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იყო...“

სწორედ პოეტის შემოქმედებისადმი სიყვარულის დასტური იყო საიუბილეო საღამოც, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. აბაშიძემ, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ციცილეილი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ელიშე ჩარენცის დიდი დამსახურება საბჭოური ლიტერატურის განვითარების საქმეში.



სურათზე: ელიშე ჩარენცის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში.

ს. ბილაძის ფოტო.

სიტყვით გამოსულმა სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ლ. მკრტჩიანმა დიდი მადლობა გადაუხადა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მწერალთა კავშირის საიუბილეო საღამოს მოწყობისათვის. მან აღნიშნა, რომ ასეთი საღამოები კიდევ უფრო განამტკიცებს სომეხთა და ქართველთა ძმობასა და მეგობრობას. სიტყვები წარმოთქვეს სომხური ლიტერატურის მკვლევარმა ბ. არეველაძე, აზერბაიჯანელმა სტუდენტმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ფ. მეხთიმ, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ გ. სეირანიანმა, ცნობილმა რუსმა პოეტებმა ე. ნიკოლაევსკაიამ და მ. სინელნიკოვმა წაიკითხეს ე. ჩარენცის რამდენიმე ლექსის თარგმანი. გამოვიდა საქართველოსა და სომხეთის დამსახურებული არტისტი ს. შეკოიანი.

შემდეგ დარბაზში აქტრდა ქართულად ამეტყველებული ელიშე ჩარენცის პოეზია. კითხულობდნენ პოეტები მ. ფოცხიშვილი და ო. შალამბერიძე, თ. ბექმეილი და გ. შაპნაზარი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელ. საყვარელიძე და მსახიობი ზ. ბაწელაშვილი. ეს იყო ზეიმი პოეტური სიტყვისა, რომლითაც დიდმა სომეხმა პოეტმა მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის საგანძური გაამდიდრა.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

მოგონების ერთი ფურცელი

მ ა ხ ს ო ვ ს...

1934 წელს მოსკოვში, მწერალთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე ზოგიერთმა ჩვენგანმა პირველად ნახა ბევრი გამოჩენილი რუსი მწერალი. მართალია, ყრილობის წინ საქართველოს ეწვივნენ ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პასტერნაკი, იური ტინიანოვი, ოლეა ფორში და სხვები, მაგრამ აქ, ამ ყრილობაზე იყო მრავალი მწერალი, რომლებსაც წინათ არ შევხვედრივარ: მაქსიმ გორკი, მიხეილ შოლოხოვი, ალექსი ტოლსტოი, კონსტანტინე ფედინი, თევდორე გლადკოვი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, ალექსანდრე ფადეევი, ივანე ნოვიკოვ-პრიბოი, ლეონიდ ლეონოვი, . ილია სელვინსკი, იური ოლეშა...

და რამდენი მწერალი იყო ჩამოსული მოძმე რესპუბლიკებიდან! აი ისინი, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი მწერლები: პავლო ტიჩინა და მაქსიმ რილსკი, იაკუბ კოლასი, სულეიმან სტალსკი და გამზათ ცაფასა... წინათ მხოლოდ გაგვეგონა ეს სახელები, ნახს ვუსვამ — გაგვეგონა, რადგან მაშინ მხოლოდ იწყებოდა რუსულ ენაზე მოძმე ხალხთა ენებიდან ლიტერატურის ორგანიზებული, მასობრივი თარგმანის ის დიადი, საბჭოთა ლიტერატურისათვის ჭეშმარიტად ისტორიული პროცესი, რომლის წყალობითაც იგი გავიდა არა მარტო საერთო-საკავშირო, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც.

სწორედ პირველ ყრილობაზე ჩაეყარა საძირკველი ამ პროცესს: მოძმე ხალხთა ლიტერატურაზე მთელი ხმით ალაპარაკდნენ, მსოფლიომ პირველად შეიტყო, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნულ ენებზე იქმნება და გამოდის ნაწარმოებები, რომ ეროვნულ მწერლობებს მდიდარი ტრადიციები აქვთ.

ყრილობის ტრიბუნაზე ავიდა ორატორი, რომელმაც ამ მოვლენას ნამდვილი აღმოჩენა, საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურაში ახალი ლიტერატურების აღმოჩენა უწოდა. ეს ორატორი გიორგი ლეონიძე იყო. ეს ორატორი ბევრ ადგილ ეპარებოდა, ციტრუ-ლობის ტრიბუნაზე ავიდა ორატორი, რომელმაც ამ მოვლენას ნამდვილი აღმოჩენა, საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურაში ახალი ლიტერატურების აღმოჩენა უწოდა. ეს ორატორი გიორგი ლეონიძე იყო. ეს ორატორი ბევრ ადგილ ეპარებოდა, ციტრუ-ლობის ტრიბუნაზე ავიდა ორატორი, რომელმაც ამ მოვლენას ნამდვილი აღმოჩენა, საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურაში ახალი ლიტერატურების აღმოჩენა უწოდა. ეს ორატორი გიორგი ლეონიძე იყო. ეს ორატორი ბევრ ადგილ ეპარებოდა, ციტრ

ირაკლი აბაშიძე

თევზის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის

გაიმართა რესპუბლიკის თევზის მრეწველობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. „საქართველოს თევზის მრეწველობის 1977 წლის მუშაობის შედეგებისა და 1978 წლის ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს საწარმოო გაერთიანების „საქთევზმრეწვის“ უფროსმა ო. აბესაძემ.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სარეწო გემების, თევზის დასამუშავებელი საწარმოებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობების მშრომელებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს შეათე ხუთწლედის მეორე წელს რესპუბლიკის მიერ მიღწეულ წარმატებებში.

ცალკეული კოლექტივებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფოთის საოკეანო თევზსაფრის სამმართველოს, „საქთევზმეურნეობის“ კომბინატის, გაგრის თევზსაშენის, საქართველოს საკოლმეურნეობათშორისო გემთშემკეთებელი ქარხნის, ფოთისა და სოხუმის მეთევზეობის კოლმეურნეობების კოლექტივები.

კარგად დაიწყო წლევანდელი წელიც. გადაჭარბებით შესრულდა თევზის კონსერვების წარმოების იანვრის გეგმა.

მაგრამ, როგორც კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, ჯერ კიდევ ნელა აღმოიფხვრება მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც წარსულში იყო თევზის მრეწველობის შუშაობაში. მართალია შენდება და მწყობრში დგება ახალი საგუბურე მეურნეობანი, მაგრამ შესაბამისად არ იზრდება სასაქონლო თევზის წარმოება, რის შედეგად თევზის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლებით ჩვენს რესპუბლიკას ჯერ ისევ ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ქვეყანაში.

შიდა წყალსატევებში თევზის წარმოების გეგმა არ შესრულებულა არც მეცხრე ხუთწლედში და არც შარშან, გუბურებში კი მნიშვნელოვნადაც შემცირდა 1971 წელთან შედარებით. სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს ხაზით საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მეტად დაბალია თევზის პროდუქტიულობა საგუბურე ფართობის ერთ ჰექტარზე.

„საქთევზმრეწვის“ სისტემაში ბოროტმოქმედებას ბევრად შეუწყო ხელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებულმა უხეშმა ხარვეზებმაც.

თავის შესაძლებლობებზე გაცილებით ნაკლებად მუშაობდა საოკეანო სარეწო ფლოტიც, რომელმაც, თუმცა ბევრჯერ შეასწორა გეგმები შემცირების მიზნით, ვერ ასრულებდა მათ.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ნ. გლუჩენკო.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე, საბჭოთა კავშირის თევზის მრეწველობის გაერთიანების უფროსის მოადგილე ე. გ. მენშუტინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. მ. ივანაშვილი.

კრებაზე მიიღეს მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებანი და მიმართვა რესპუბლიკის თევზის მეურნეობის ორგანიზაციების, საზღვაო სარეწო გემების, სანაპირო საწარმოებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობების ყველა მუშაკისადმი.

კრება მხურვალედ გამოეხმაურა აზერბაიჯანის თევზის მეურნეობის მუშაკთა წინადადებას, რომ საქართველოს თევზის მეურნეობის მუშაკებთან გაშალონ შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

ქართული ღვინის ბარაქა—სხვადასხვა მისამართით

საქართველოდან თვითმფრინავებითა და მატარებლებით სხვადასხვა მისამართით იგზავნება ხილი, ბოსტნეული, ციტრუსები. მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში თანდათან იზრდება. გადაჭარბებით შესრულდა კარტოფილის, ბოსტნეულის, ციტრუსების გაგზავნის გეგმები. აქვე ხილის გაგზავნის გეგმა მხოლოდ 75 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება 1977 წლის მოსავლიდან საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების გეგმის შესრულების შესახებ (ტონობით):

	გეგმა	ფაქტიურად გაგზავნა	გეგმის შესრულების პროცენტი
კარტოფილი	31900	36303	113,8
ბოსტნეული	41200	48814	118,5
ხილი	70000	52818	75,6
მანდარინი	60000	92978	155
ფორთოხალი	3000	4000	133,3
ლიმონი (ათასი ცალი)	3000	1820	60,7

(საქინფორმი).

საკდესი იტყობინება

მსოფლიოს ამბები

გულისწყრომით გმოგბენ

ბრატისლავა. ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეუდგეს ნეიტრონული ბომბის წარმოებას, გადაჭრით და ერთსულოვნად განაცხადეს პროტესტი თავისუფლების პარტიის კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც აქ დამთავრდა. კონფერენციის მონაწილეებმა დაგმეს ნატოს გეგმები შეიარაღდეს ნეიტრონული ბომბით. ეს გამოიწვევდა არა მარტო გამალებული შეიარაღების ესკალაციას, არამედ აგრეთვე დიდ საფრთხეს შეუქმნიდა საყოველთაო მშვიდობას, ხაზგასმულია რეზოლუციაში.

ვენა. ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს გამგეობამ საგანგებო დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე ორმხრივი უარის თქმის შესახებ. მან მოუწოდა ევროპის ქვეყნების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მოიწონონ ეს წინადადება, დასავლეთ ევროპაში ნეიტრონული ბომბის წარმოება გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი იქნებოდა და გაუარესებდა საერთაშორისო კლიმატს, აღნიშნულია განცხადებაში.

ანკარა. ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე სრული უარის თქმა ახლანდელ პირობებში არა მარტო სარგებლობას მოუტანს მშვიდობის საქმეს, წერს თურქული გაზეთ „ბარიშში“ ცნობილი თურქი პოლიტიკური მიმიმხილველი ა. შ. ესმერი. თავის პასუხში გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ამ სახეობის ატომური იარაღი დაუსახიათა როგორც ომის წარმოების ახალი ბარბაროსული საშუალება, ხაზს უსვამს სტატიის ავტორი. გამალებული შეიარაღების გაძლიერება იმ დროს, როცა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს უზარმაზარი საბრძოლო არსენალები მოეკოვებათ, — დიდ საფრთხეს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის. ამიტომ ლ. ი. ბრეჟნევმა დროულად გააკეთა გაფრთხილება და მოუწოდა სახელმწიფოებს გონივრულობა გამოიჩინონ.

პარაკასი. ვენესუელის საზოგადოებრიობის ასამბლეის მონაწილეებმა გულისწყრომით აღსავსე პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეუდგეს ნეიტრონული ბომბის წარმოებას. ვენესუელის ხალხი ერთსულოვნად უარყოფს პენტაგონის ღანაშაულებრივ გეგმებს, აღნიშნულია, ასამბლეის განცხადებაში. ნეიტრონული ბომბის წარმოება აბუჩად აგდებს იქნებოდა კაცობრიობის იმედისა, რასაც იგი მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე ამყარებს.

ბონი. ცნობილმა დასავლეთგერმანელმა საზოგადო მოღვაწემ, ბუნდესტაგის ყოფილმა წევრმა ა. ბერიშმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა ეადგას ქმედითი ნაბიჯები გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ინტერესებისათვის. მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა დაიწყოს ნეიტრონული ბომბის წარმოება და განლაგოს იგი დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე. ნატოს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს მასობრივი მოსპობის იარაღის შემდგომ დაგროვებას, აძლიერებს ომის საშიშროებას და სერიოზული დაბრკოლებაა ევროპაში მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და დაბალანსებულობის შენელების უზრუნველყოფის გზაზე, ხაზი გაუსვა მან.

ნიკოზია. გაიმართა ახალგაზრდობის მასობრივი საპროტესტო მიტინგი ვაშინგტონის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ დაიწყოს ნეიტრონული ბომბის წარმოება. მიტინგის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი მიმართვაში დაგმეს მასობრივი მოსპობის იარაღის ეს ახალი ნაირსახეობა. შეუწყნარებელია, ხაზს უსვამენ დოკუმენტში, რომ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებმა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, რომელიც ანგარებით ინტერესებს ისახავს, საფრთხე შეუქმნან მთელი კაცობრიობის მომავალს.

ბაღდადი. ერაყის სტუდენტთა ეროვნული კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ გადაჭრით დაგმო ნეიტრონული ბომბი. ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები აწარმოოს და განლაგოს ეს მომაკვდინებელი იარაღი კიდევ ერთხელ ეხადოფს პენტაგონის აგრესიულ მისწრაფებებს, აღნიშნავს ბიურო, ერაყის გაზეთმა „თარიკ-აშ-შაბაბმა“ დაკმინ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების ცდები ჩაფუშონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცების ღონისძიებანი.

მსოფლიოს ხალხები გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგება, მსოფლიოს ქვეყნების საზოგადოებრიობის ფართო ფენები მხარს უჭერენ წინადადებას მასობრივი მოსპობის ამ ბარბაროსული იარაღის წარმოებაზე ორმხრივი უარის თქმის შესახებ.

საუოველთაო ინტერესებისათვის

სტერლინგ-ფორესტი. (ნიუ-იორკის შტატი). (საკდესის კორ.). **საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცების განიარაღებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ამერიკული და საბჭოთა ასოციაციების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც აქ გაიმართა.**

სამი დღის დისკუსიის მონაწილეებმა, რომელიც კონსტრუქციული სულისკვეთებით მიმდინარეობდა, მხარი დაუჭირეს ორი ქვეყნის ურთიერთგაგების გაღრმავებას და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ეს სამსახურს გაუწევს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე ყველა ხალხის ინტერესებს.

პრესკონფერენცია ჰარერში

ჰარერი. (საკდესის სპეც. კორ.). ეთიოპიის ჰარაგეს პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ ჰარერში გაიმართა პრესკონფერენცია უცხოელი და ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის. პროვინციის მთავარმა ადმინისტრატორმა ლემა კუტემამ და აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა პოლკოვნიკმა მულატუ ნგიგუმმა განაცხადეს, რომ ეთიოპიის შეიარაღებული ძალებისა და სახალხო მილიციის რაზმების კონტრშეტევის დროს მოწინააღმდეგე უკუაგდეს მთელ რიგ რაიონებში 30-დან 75 კილომეტრამდე. პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ სომალის ჯარების მხარეზე საომარ ოპერაციებში მონაწილეობს უცხოელთა არმიების ხუთიდან თორმეტი ათასამდე ჯარისკაცი. ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ეგვიპტე, საუდის არაბეთი და სხვა რეაქციული რეჟიმები მხარს უჭერენ სომალის.

პრესის წარმომადგენლებს უჩვენეს ნატოს ქვეყნების იარაღი, რომელიც ამასწინანდელი ბრძოლების დროს იგდეს ხელთ.

ვაშინგტონის ორპირობა

ვაშინგტონი. (საკდესის კორ). ამერიკის საზოგადოებრიობამ მიიღო კიდევ ერთი დადასტურება ოფიციალური ვაშინგტონის ორპირობისა, რომელიც სიტყვით „შეშფოთების“ გამოთქვამს სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, ხოლო საქმით ფართო მხარდაჭერას უწევს რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებიც სასტიკად ახშობენ ამ უფლებებს.

სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა და კონგრესს წარუდგინა სერია მოხსენებებისა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ უცხოეთის 105 სახელმწიფოში, რომლებთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მჭიდრო სამხედრო და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობა აქვს. მოხსენებათა ავტორები იძულებული არიან აღიარონ, რომ იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც ამერიკის „დახმარებას“ იღებენ, რეპრესიები და ადამიანის უფლებათა დარღვევები მასობრივი მასშტაბით ხორციელდება. მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ყველაზე სასტიკ ჩახშობათა შორის არიან ვაშინგტონის „კლიენტები“, როგორიცაა ისრაელი, სამხრეთი კორეა, ურუგვაი, სალვადორი, პარაგვაი და სხვები.

ისრაელის შესახებ მოხსენების შემდგენელნი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ ტელ-ავივი მხეცურად ეპყრობა ოკუპირებული არაბული ტერიტორიების მოსახლეობას. „დოკუმენტურად დადასტურებულია ცნობები ისრაელის მიერ დაკითხვების დროს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენის გამოყენების შესახებ, არ შეიძლება გამოირიცხოს სისასტიკის შემთხვევებიც“, — ნათქვამია დოკუმენტში.

სახელმწიფოს დეპარტამენტის მოხსენებანი ცხადყოფენ, თუ რა ფასი აქვს ვაშინგტონის მტკიცებებს, რომელსაც თავი მოაქვს, თითქოს „წარმატებებს“ მიაღწია, ფართოდ შეიტანა რა „ადამიანის უფლებათა ელემენტი“ თავის საგარეო პოლიტიკურ კურსში. ამ კურსის ცინიზმს ცხადყოფს აგრეთვე თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს საზღვარგარეთ აქვს სხვა ინტერესები, გარდა მოქალაქეობრივი უფლებებისა“. ეხება რა ვაშინგტონის პოზიციას, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ხაზს უსვამს, რომ „ამა თუ იმ რეჟიმს ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად ეკიდება მეგობრულად, რამდენადაც ანტიკომუნისტურია იგი, აგრეთვე რამდენად აერის მოცემულ ქვეყანაში ხელშემწყობი კლიმატი ამერიკის მონოპოლიების კაპიტალდაბანდებისათვის“.

ისრაელის ანექსიონისტური გეგმები

ნიუ-იორკი. (საკდესი). ისრაელის მმართველი წრეები კვლავ ცდილობენ შემოიმტკიცონ 1967 წლის აგრესიის შედეგად დაპყრობილი არაბული მიწები, განამტკიცონ თავიანთი პრეტენზიები ისრაელ-ეგვიპტის სეპარატულ გარიგებაში, რომელიც მზადდება. როგორც ტელ-ავივიდან იუწყებიან, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა გაკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ისრაელის მთავრობა კვლავ იმ თვალსაზრისს ადგას, რომ დასახლებების მშენებლობის პროგრამა მოლიანად შეესატყვისება საერთაშორისო კანონებს“. განცხადება აგრეთვე მოწმობს, რომ ტელ-ავივ მდინარე იორდანის ოკუპირებული დასავლეთი ნაპირი მიიჩნია „საკუთრივ ისრაელის“ ნაწილად.

ბეგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის „საზავო გეგმა“, რომელშიც ითქმა ეს პოზიცია, განსახილველად წარუდგინეს ეგვიპტის პრეზიდენტ სადათს მხოლოდ მაშ შემდეგ, რაც მას მხარი დაუჭირა შეერთებულმა შტატებმა.

გაბედულად გაილაშქრეს

ვენა. ავსტრიის „კომუნისტური პარტიის შტირიის სამხარეო ორგანიზაციამ გაბედულად გაილაშქრა ქალაქ იუდენბურგის ფოლადსამსხმელო საწარმოს „ფეგის“ ადმინისტრაციის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ დახუროს ამ საწარმოს საგლინავი დგანი. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მეთაური საამქროს დახურვა საფრთხეს უქმნის მთელი საწარმოს არსებობას და შესაძლებელია ასობით მეტალურგის დათხოვნა მოჰყვეს.

კომუნისტებმა მოუწოდეს პროფკავშირებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ერთად იმოქმედონ იუდენბურგელ მეტალურგთა დასაცავად. (საკდესი).

რევოლუციური სულისკვეთებით

ადის-აბება. „ჩვენი ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია“ — ასე ეწოდება ფოტოგამოფენას, რომელიც ეთიოპიის დედაქალაქში მიმდინარეობს „პრესის კვირეულის“ ფარგლებში.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფოტოსურათები, რომლებზეც ეთიოპიის დღევანდელი დღეა აღბეჭდილი, — მახსობრივი მიტინგები და დემონსტრაციები ძირფესვიან სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა მხარდასაჭერად, სახელმწიფო მეურნეობათა მინდვრებში ნომუშევარ გლეხთა შრომითი დღეები. (საკდესი).

ლიბანის ამგები

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანის სამხრეთში უაღრესად დაძაბული ვითარებაა. ლიბანის კონსერვატიული ძალების არტილერიამ რამდენჯერმე დაუშინა ინტენსიური ცეცხლი ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებს ისრაელის საზღვრის მახლობლად. როგორც პალესტინის საინფორმაციო საგენტო ვაფა იუწყება, სროლაში ისრაელის საარტილერიო ქვეგანაყოფებიც მონაწილეობდნენ.

ბეირუთში, სადაც წინა კვირას სისხლისმღვრელი შეტაკებები მოუვიდათ, ერთი მხრივ, ლიბანის არმიის ზოგიერთ ქვეგანაყოფსა და კონსერვატიული „ლიბანის ფრონტის“ რაზმებს, და, მეორე მხრივ, არაბული ქვეყნების მშვიდობის შენარჩუნების ხელშემწყობი ძალების შემადგენლობაში შემავალ სირიის ჯარები, შედარებით მშვიდი ვითარებაა, თუმცა ცალკეულ რაიონებში დროდადრო იფეთქებს ხოლმე სროლა. ბეირუთის აღმოსავლეთი ნაწილიდან, რომელიც ყველაზე ფიცელი ბრძოლების სარბიელი გახდა, მეხოვრებთა ნაწილი აიყარა და ქალაქიდან წავიდა იმის შიშით, ვაითუ შეტაკებები კვლავ განახლდესო. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ მოუწოდა განაახლონ მეცადინეობა სკოლებში, ბევრი სასწავლებელი კვლავ დახურულია.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის „მშვიდობიანი მოწესრიგების“ ისრაელური გეგმა, რომელიც პირადად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოიწონა, განაცხადა ამერიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაიანმა, თავიდანვე ეწინააღმდეგება ისრაელის სამხედრო კონტროლის შენარჩუნებას დასახლებებისადმი როგორც სინას ნახევარკუნძულზე, ისე მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და არ ითვალისწინებს ისრაელის ჯარების სრულ გაყვანას ოკუპირებული არაბული მიწებიდან. ისრაელი, თქვა დაიანმა, არასოდეს არ დათანხმდება ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან თავისი ჯარების გაყვანას, იქ შექმნილი გასამხედროებული დასახლებები ლეკვდაციას, პალესტინის არაბი ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას, იერუსალიმის ოკუპირებული ნაწილის დაბრუნებას.

ყოველი ესრიდან

მოკლედ

ძნელი დრო

ნიუ-იორკი. ძნელი დრო დაუდგა ამერიკის შეერთებული შტატების ფოლადსამსხმელო მრეწველობას. ფოლადზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირების შედეგად, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთო ეკონომიკურმა დაქვეითებამ და მეტალურგიულ კორპორაციათა პროდუქციის მაღალმა თვითღირებულებამ გამოიწვია, — მნიშვნელოვნად შეიკვეცა წარმოება. ამერიკის რკინისა და ფოლადის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, ამჟამად ეკონომიკის ამ მთავარ დარგში საწარმოო სიმძლავრეთა მხოლოდ 73 პროცენტს იყენებენ.

მსოფლიოს ხალხთა მოძმობისა

ნიკოზია. ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის წარმოების შეწყვეტა და აკრძალვა — ასეთია მთელი მსოფლიოს ხალხთა უპირველესი ამოცანა პოლიტიკური დაძაბულობის შენელების გაღრმავების საქმეში, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს დაძაბულობის შენელება სამხედრო დარგში, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლ კვიპროსელთა კომიტეტის განცხადებაში.

პირველი რეფრიჟერატორები

პარაგა. მიმდინარე წლის მიწოდებათა ანგარიშში რეფრიჟერატორების პირველი პარტია გაუგზავნეს სსრ კავშირს ქალაქ ხოცენის ქარხნის „ოლლიჩანის“ მუშებმა. ეს საწარმო სპეციალდება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისთვის ამ სახეობის პროდუქციის გამოშვებაზე.

„მწარე შაქარი“

ჯორჯთაუნი. გაფიცვა გამოაცხადეს იამაიკის დასავლეთ ნაწილში განლაგებული დიდი შაქრის ქარხნის „ფროშის“ შაქრის ლერწმის მჭრელებმა და მუშებმა. ისინი მოითხოვენ, რომ ქარხნის მფლობელებმა ბოდიშიც ხელფასი და გაუუმჯობესონ შრომის პირობები.

ყარაკულის ექსპორტი

ქაბული. როგორც გაზეთი „ჟუმჰურიათი“ იუწყება, 22 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო შარშან ავღანეთმა ყარაკულის ტყავის ექსპორტის შედეგად. ბოლო წლებში მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა წყალობით ყარაკულის მეცხვარეობა ფართოდ განვითარდა ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით მის ჩრდილო პროვინციებში. ამას საშუალება მისცა შარშან მილიონ 200 ათასი ყარაკულის ტყავი გაეტანა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ საექსპორტო ტყავის დამუშავების ხარისხის გასაუმჯობესებლად. (საკდესი).

ზარილი ავღანეთიდან

გულთბილი გაცილება

ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე დაახსომდება ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი დღე ჩემთვის იყო 1975 წლის 24 ნოემბერი, როდესაც სხვა ქართველ სპეციალისტებთან ერთად პირველად ფეხი დავდგი ჩვენი მეგობარი ქვეყნის ავღანეთის მიწაზე. სამუშაოდ ჯალალაბადის რაიონში გავგზავნეს, რომელიც ქაბულიდან 180 კილომეტრზეა დაშორებული. ამ რაიონში საბჭოთა სპეციალისტებმა შეიტანეს სიცოცხლე. 1962 წლ

ცხოვრების კარნახით

სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი თერჯოლაში

ახალგაზრდამ საშუალო სკოლა დაამთავრა, ახლობლები ულოცავენ სიმწიფის ატესტატის მიღებას, ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსვლას. მართალია, სიმწიფის ატესტატი კი დაულოცეთ, მაგრამ არის იგი ცხოვრებისათვის მზად?

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ვკითხულობთ: „საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების პირობებში შრომითი სწავლების, მოსწავლეთა აღზრდის და პროფესიული ორიენტაციის ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაზრდილ მოთხოვნებს. ბევრი სკოლის კურსდამთავრებული ცხოვრებას ისე იწყებს, რომ სათანადო შრომითი მომზადება არ გაუვლია, საკმაო წარმოდგენა არა აქვს ძირითადი მასობრივი პროფესიების შესახებ და აძნელებს აწყდება, როცა სახალხო მეურნეობაში იწყებს მუშაობას“.

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები შექმნა, სადაც რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმით გათვალისწინებული დარგების მიხედვით წარმართება მოსწავლეთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადება. მისი განხორციელების გზაზე პირველი ნაბიჯები გადადგა თერჯოლის რაიონში.

ახლად შექმნილ რუფოთის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობას სხვა სოფლებთან ერთად თერჯოლის ლენინის სახელობის კოლეგურნეობაც შეუერთდა. გამოთავისუფლდა კოლმეურნეობის ყოფილი კანტორის ორსართულიანი კაპიტალური შენობა. სპეციალიზაცია რაიონის სხვა სოფლებშიც განხორციელდა: მეცხოველეობისა ეწერში, მერძევეობა-მებოსტნეობისა — კვახჭირში. ახალმა სპეციალიზებულმა მსხვილმა მეურნეობებმა კვალიფიციური მუშაკები მოითხოვა და რაიონის ხელმძღვანელობაც საამისო თადარიგს შეუდგა.

თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი კანტორის შენობაში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი. ამ ახალი ტიპის ნახევრად საწარმოო ხასიათის სასწავლებლის შეფობა იკისრეს რუფოთის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა გაერთიანებამ და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა. შეფებმა სწრაფად უზრუნველყვეს შენობის რეკონსტრუქცია და მოეწყო ყოველმხრივ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები მომავალი მექანიზატორების, მეკენახეების, დურგლების, მკერავებისა და ავტომძღოლებისათვის.

— ჩვენთან, — თქვა საუბარში კომბინატის სასწავლო-საწარმოო ნაწილის გამგემ თ. ორჯონიკიძემ, — ტერიტორიულად მომიჯნავე ექვსი საშუალო სკოლის IX-X კლასების 660 მოსწავლე ეუფლება არჩეულ პროფესიას. სკოლებში ახალი სასწავლო წლიდან ისე შედგა სამეცადინო ცხრილები, რომ მორიგეობით ყველა სკოლამ გამოთავისუფლა კვირაში ერთი დღე. ამ დღეს მოსწავლეები ჩვეხთან გაივლიან არჩეული სპეციალობის მიხედვით თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. ყველაფერი ეს ისე, მოეწყო, რომ ხელს არ უშლის სასკოლო დისციპლინების სწავლას.

კომბინატში მოწვეული გვყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ოომელთაც პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებაც აქვთ. კაბინეტებში გვაქვს შესასწავლი მანქანა-იარაღების ჭრილები, კვანძები, დეტალები, სიგნალიზაციის ლაბორატორია. ახალგაზრდების პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოგვეყო ტრაქტორები, სატვირთო, მსუბუქი ავტომანქანები, 15 ცალი საკერავი მანქანა და სალუქგლო დაზგები. გარდა ამისა ჩვენს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ავტოდრომი, ტრაქტორის მართვის შესასწავლი მოედანი, სამი ჰექტარი ვენახი და ნაკვეთი ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშის ნერგების გამოსაყენებლად.

სულ ორიოდე თვეა კომბინატი მუშაობას შეუდგა, მაგრამ ღვაწლი მოსწავლე გოგონებმა მარინე, ნათელა ქარქაშაძეებმა, მანანა ცერცვაძემ, მაყვალა მაკარაძემ კერვის დიდი სურვილი და ნიჭი გამოავლინეს. მძღოლისა და მექანიზატორის პროფესიამ გაიტაცა ამავე სკოლის მოსწავლეები მაია ბერიძე, შერაბ, ტრისტან ქარქაშაძეები. ასეთები აქ ბევრნი არიან და სულ ძალე ისინი კვალიფიციურ მუშებად მოეკლინებიან მშობლიურ სოფლებს.

— ეს მხოლოდ დიდი საქმის დასაწყისია, — გვითხრა საუბარში პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ, — მოსწავლეები ჯერჯერობით პროფესიას ეუფლებიან, ახლო მომავალში ისინი საკუთარი წარმოების პროდუქციას გამოუშვებენ. უკვე შეკვეთილია სატრანსპორტო ნაა ყუთების შეკეთება, არცთუ ისე გვიან მოსწავლეების შეკერილებსაც ნახავთ სავაჭრო ქსელში. ერთი სიტყვით, ჩანფიქრს ბორკი შეესხმება და ჩვენი სამუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები სამწყობიო ატელიტაოან ერთად მიიღებენ თანრიგებს არჩეული სპეციალობის მიხედვით და შემნახველი სალაროს წიგნაკებს, სადაც ჩაირიცხება სწავლის პერიოდში გამომუშავებული ხელფასი.

მისასალმებელია, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ზრუნავს და ცხოვრების საგზაურებს აძლევს ომმზადებულ ახალგაზრდებს. მხარდაჭერისა და ყოველმხრივი დახმარების ღირსია მისი ცდა, რომ ასეთივე სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები გაჩნდეს ეკლარასა და საბნაოში.

ეჭვი არ არის, ამ საშვილიშვილო წამოწყებას მიმდევრები გამოეჩინდებიან.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ო. თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი

ბრატისლავა, 13 თებერვალი. (საკადეოის კორ.). აქ დიდი წარმატება ხვდა საავტორო კონცერტს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რადიოს სიმფონიური ორკესტრისა და სლოვაკიის ფილარმონიის გუნდის თანხლებით გამართა ცნობილმა საბჭოთა კომპოზიტორმა და დირიჟორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა.

საკონცერტო პროგრამაში, რომელიც ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებით იყო შედგენილი, მოხალწელობა მიიღეს მომღერლებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა თ. ქევხიშვილმა, პიანისტმა ძ. მდივანმა, ვიოლონჩელისტმა ე. ალაკაევმ და ქართულმა ანსამბლმა „ბორდელამ“.

კონცერტს დაესწრნენ სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, სლოვაკიის მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი და ბრატისლაველი მუსიკის მოყვარულნი.

სლოვაკიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ო. თაქთაქიშვილისა და მისი ქართველი კოლეგების საშემსრულებლო ოსტატობას. როგორც გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავს, „კონცერტი მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა გახდა ჩეხოსლოვაკიის კულტურულ ცხოვრებაში.“ სლოვაკიის გაზეთ „გლას ლუდუს“ აზრით, საღამო ხელს უწყობდა ჩეხოსლოვაკიელი მაყურებლისათვის მდიდარი მრავალეროვნული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების უკეთ გაცნობას და თავისი წვლილი შეიტანა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის კულტურული თანამშრომლობის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის გაღრმავებას.

პ. შუმსკი.

ანსამბლი მოგზაურობს

აბარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს 50 წლის ისტორია აქვს.

ახლახან ანსამბლი მონაწილეობდა ტრადიციულ ფესტივალში „რუსული ზამთარი“, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში იმართება ყოველწლიურად. ფესტივალის დაწყებამდე ანსამბლი სხვა კოლექტივებთან ერთად მონაწილეობდა ყოილოგათა სასახლეში და „ვარსკვლაველთა ქალაქში“ გამართულ კონცერტებში.

ფესტივალზე ანსამბლმა თავისი საუკეთესო პროგრამა შესთავაზა მაყურებელს, რომელიც ძირითადად ხალხურ ფოლკლორზეა აგებული. მის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანსამბლმა დასკვნითს კონცერტზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, სადაც „ქართული საცეკვაო სიუიტის“ შესანიშნავი ძესრულებით მოხიბლა მაყურებელი.

ფესტივალის დამთავრების შემდეგ ანსამბლი იაროსლავლის ოქ-ში გაემგზავრა სგასტროლოდ და კონცერტები გამართა წარმოება-დაწესებულებებში,

თბილისის № 23 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1978 წლისათვის მრთველის პროფესიის კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად

სასწავლებელში მიიღებიან 17-25 წლის საშუალო განათლების მქონე გოგონები.

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია. მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან უფასო ბინით, მიიღებენ საეთო წესით სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის დროს — გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

მოსწავლეებს სწავლების პერიოდი ჩათვლებათ მუშაობის სტაჟად, ხოლო ის ძოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ სასწავლებელს, მიიღებიან უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესის საფუძველზე, სავალდებულო სტაჟის გარეშე.

ძირითადი პროფესიის გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ დაეუფლონ ჭრა-კერვის სპეციალობას და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ატესტატთან ერთად მიეცემათ სათანადო ცნობები.

სასწავლებელში მისაღებად საჭიროა: განცხადება, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დაბადების მოწმობა (დედანი), საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა, დახასიათება სკოლიდან, ფოტოსურათები 3 ცალი (3X4 სმ), პასპორტი (უნდა წარმოადგინოთ პირადად), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

მეცადინეობა დაიწყება 1 მარტს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის ძიმაროთეთ დირექციას დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე შემდეგი **მისამართით: თბილისი, ლენინის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, № 23 საშუალო-პროფტექნიკური სასწავლებელი.** ტელეფონი: 66-19-55, ძეტრო სადგური „ელექტრო დენი“, ავტობუსი: 18, 62, 72.

თბილისის № 41 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1978-79 სასწავლო წლისათვის მაცივარდანადგარების სპეციალობაზე

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალაშვილები და ჭაბუკები 17-დან 30 წლამდე. განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ სასწავლებლის დირექტორის სახელზე, აღნიშნოთ სასურველი პროფესია თუ სპეციალობა და დაურთოთ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა № 286, ფოტოსურათი 6 ცალი, (3X4-ზე), დახასიათება, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი უნდა წარმოადგინოთ პირადად.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლება უფასოა, მოსწავლეებს, რომლებსაც კარგი აკადემიური წარმატება ექნებათ, მიეცემათ სტიპენდია თვეში 30 მანეთის ოდენობით, ხოლო მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ შეფასება „ფრიადი“, 25 პროცენტით გაუდიდდებათ სტიპენდიის რაოდენობა. გარდა ამისა მოსწავლეებს ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი შეასრულებენ სწავლების პროცესში საბაზო წარმოებებში.

სასწავლებელში სწავლების დრო ითვლება უწყვეტ სტაჟად. ის პირები რომლებიც ფრიადზე“ დამთავრებენ სასწავლებელს და იმუშავებენ სპეციალობის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლის დღის განყოფილებაზე ჩაირიცხებიან სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე, ხოლო საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე — უკონკურსოდ.

საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა, დილის 9-დან 17 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი. მოსკოვის პროსპექტი № 9. № 41 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი № 7, მეტრო სადგურ „ისნიდან“ და ავტობუსი № 10 მეტროს სადგურ „სამგორიდან“. ტელ. 71-11-50.

თბილისის № 74 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1978-79 სასწავლო წლისათვის ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბის ინდივიდუალური კერვის სპეციალობაზე

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-30 წლის ქალები, სწავლების ვადა ერთი წელია. სწავლების დრო ითვლება საწარმოო სტაჟად. რაიონებიდან ჩამოსული მოქალაქეები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. სწავლების პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესის ფარგლებში, პრაქტიკაზე ყოფნის პერიოდში მიიღებენ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

სასწავლებელში შემსვლელთათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: განცხადება (დირექტორის სახელზე), განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, 4 ცალი ფოტოსურათი ზომით (3X4 სმ), ავტობიოგრაფია, დახასიათება.

განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე, **სწავლა დაიწყება** 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი 68, საქართველო რაიონი ჭიჭინაძის ქ. № 10, ტელეფონი 71-32-35, 71-15-66, 71-21-20.

ავტობუსი №10 — მეტრო სამგორიდან, № 16 — კოლმეურნეობის მოედნიდან, № 51 — 26 კომისრის მეტროდან. სამარშრუტო ტაქსი № 5 კოლმეურნეობის მოედნიდან.



სტავროპოლის ჩირაღდნები

ძმურად, მხარდამხარ

სტავროპოლი 200 წლისაა

ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი-კურორტი, საოლქო ცენტრი სტავროპოლი ორასი წლისა გახდა.

სტავროპოლი, როგორც ციხე-სიმაგრე აზოვ-მოზდოკის გამაგრებულ ხაზზე პირველად ეკატერინე მეორის განკარგულებით დაარსდა. სტავროპოლი ძველბერძნულ ენაზე ჯვრის ქალაქს ნიშნავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ციხე-სიმაგრის ინსპექციის ხშირად გენერალი (შემდეგში ფელდმარშალი) ა. სუვოროვი ატარებდა.

თანამედროვე სტავროპოლი ამავე სახელწოდების ოლქის მსხვილ სამრეწველო-კულტურულ ცენტრს (მოსახლეობის რაოდენობა 250 ათასი) წარმოადგენს. 1935-1943 წლებში მას ეწოდებოდა ჯორგოშელოვსკი, შემდეგ კი დაუბრუნდა თავისი ძველი სახელი.

სტავროპოლი მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ქვების მრეწველობის (განსაკუთრებით საფქვავი, ხორცის, რძის) მსხვილი ცენტრია, აქვეა მრავალი საშუალო და სპეციალური სკოლა, ტექნიკუმი, პედაგოგიური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, აგრეთვე ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, მეცხოველეობისა და მეთხოვნის საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტები.

თავის დროზე სტავროპოლში ყოფილან გამოჩენილი ადამიანები ა. პუშკინი, ა. გრიბოედოვი, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი და სხვები. სტავროპოლში ცხოვრობდა ჯარო მარქსის „კაპიტალის“ პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე გერმან ლოპატინი. სტავროპოლი სამამულო ომის გმირის ლეგენდარული გენერლის ლ. დოვატორის შობლიური ქალაქია.

ჩვენთვის სტავროპოლი იმითაც არის საინტერესო, რომ მის მახლობლად მდებარეობს დაბა ყორგოევსკი, რომელიც თავის დროზე შეექმნა აგრეთვე როგორც ციხე-სიმაგრე.

შორეულ ისტორიულ წარსულში აქვს სათავე ქართველი და რუსი ხალხების ტრადიციულ ძმობას. ყორგოევსკელები მოდამ სიამაყით ახსენებენ ამას, რომ სწორედ აქ მათ ისტორიული ციხე-სიმაგრეში თითქმის ორი საუკუნის წინ (1783 წ.) ხელმოწერილი იქნა ტრაქტატი, რომლითაც საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. სწორედ აქედან დაიწყო ახალი ფურცელი ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

ყორგოევსკის ტრაქტატის საიუბილეო პერიოდში ახმეტის რაიონის მშრომელებმა წერილით მიმართეს რუს მეგობრებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, რაც ყორგოევსკელებმა სიამოვნებით მიიღეს. მას შემდეგ ახმეტისა და ყორგოევსკის მშრომელთა წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

არსებობს ცნობა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში სტავროპოლში ყოფილა ქართული სკოლა (ქართული გიმნაზია), მაგრამ ამის შესახებ თვით სტავროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც კი არაფერი არ არის დაცული. ქართული წყაროებიდან კი ცნობილია, რომ ქართველი პოეტი ა. ცაბელი სწავლობდა სწორედ სტავროპოლის ქართულ სკოლაში.

დიდი პატივი დაადგა გ. ჭ. პრავეს სახელობის სტავროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელმაც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას გამოუგზავნა ჭ. სტავროპოლის „მეგობრობის დიდების ძეგლის ფოტოსურათი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. თებერვალ 1920 წლის თებერვალს ცხენოსანთა VII დივიზიას სტავროპოლი თვითგვარდიელებისგან გაუთავისუფლებია. დივიზიის ერთ-ერთი პოლკის მეთაური ქართველი აზნორაშვილი (შესაძლებელია გვარი მთლიანად სწორი არ არის, არც სახელია ცნობილი, ვიცით მხოლოდ ინიციალი) ყოფილა. ჩვენი თანამემამულის შესახებ სტავროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა არაფერი აქვთ შემონახული. 1965 წლის 2 მარტს გაზეთ „სტავროპოლსკაია პრავდაში“ ი. ივანკოს დაუბეჭდია წერილი სათაურით „გამარჯვებულთა მარში“. ამ წერილში მოთავსებულია VII ცხენოსანთა დივიზიის მეთაურთა ერთი ჯგუფის სურათი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ. იქნებ ოეოლუციის ვეტერანებიდან ვინმემ იცნოს სტავროპოლის განთავისუფლების გმირი ნ. აზნორაშვილი.

მარშალ, ივლისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა მილოცვა გაუგზავნა სტავროპოლის მხარის პარტიის იპატოვოს რაიკომს მოსავლის აღების ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქი სტავროპოლი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

გრ. ზარდალიშვილი,

• • •

სურათებზე: „მუდმივი დიდების“ ძეგლი სტავროპოლში. ცხენოსანთა VII დივიზიის და ყოფილი ტამანის დივიზიის მე-444 მსროლელი პოლკის მეთაურთა ჯგუფი. დგანან (მარჯვნიდან): ნ. აზნორაშვილი, ვ. კანდიბინი, ს. ნეიდა, ა. ხმელკოვი, ა. ბუკეევი; სხედან: ი. სერგუნინი, მ. დემუსი.

პრეტენდენტთა ფინალური...

მეცხრე პარტია

უარეს პოზიციაში

ფუნელ რედაქცია დაუკავშირდა ბად-კისიხგეხს. მსოფლიო ჩემპიონობაა პრეტენდენტის სეკუნდანტმა ბუტუტი გურგენიძე ეი რა გვიამბო მეცხრე პარტიის შესახებ.

— მაიამ შავებით ერთხელ კიდევ მიმაოთა ოვლინდუო დაცვას. ეს, რა თქმა უნდა, არ მეიძლებოდა კუშნიროისათვის მოულოდნელი ყოფილიაო, მაგრამ მეორე მხრივ, ოგი ვერაფერს აკლებ ამ დებიუტს. ასე მოხდა ამჯერადაც. შავებმა სწრაფად დაასრულეს ფიგურების განვითარება და 15 სვლის შემდეგ გარკვეული პოზიციური უპირატესობა მიიღეს. ალა მაიას შეეძლო ლაზიერის ფრთაზე პაიკების გარღვევის პომზადება, რაც მას გაცილებით უკეთეს პოზიციას მისცემდა. ამის ნაცვლად მან ლაზიერით საეჭვო მანევრი განახორციელა და კუშნირმა არა თუ გაათანაბრა მდგომარეობა, არამედ რამდენიმე უკეთესი პერსპექტივაც კი მიიღო. ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრი ეტლი მეტოქის ბანაკში შეეჭრა.

32-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. პაიკის გაუფრთხილებელი სვლით მან საკუთარი განლაგება დაასუსტა. ამას 34-ე სვლაზე უკვე მძიმე შეცდომა მოჰყვა. შავებმა დაუცველი დატოვეს ცენტრალური პაიკი და შეეცადნენ ეტლი მეტოქის განლაგებაში გადაესროლათ. ამას რამდენი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. კუშნირმა დაიცვა ყველა უკრა და ზედმეტი პაიკიც შეინარჩუნა.

1. d4 ეf6 2. c4 g6 3. ეc3 კg7 4. ეf3 0-0 5. კf4 c5 6. d5 d6 7. ლd2 ეe8 8. ეd1 e6 9. de კ:e6 10. e3 ეc6 11. კe2 ლa5 12. 0-0 ეad8 13. ეg5 კf5 14. h3 h6 15. ეf3 ლb4 16. a3 ლb3 17. ლc1 ეe4 18. ეः e4 კ:e4 19. ეd2 ლ:b2 20. ლ:b2 კ:b2 21. ეः e4 ე:e4 22. ეb1 კ:a3 23. ე:b7 g5 24. კg3 ეe7 25. ე:e7 ეः e7 26. ეa1 კb2 27. ე:a7 კf6 28. კg4 ეეg7 29. ეc7 ეეg6 30. კf3 h5 31. კe4+ ეეg7 32. ეეf1 g4 33. hg hg 34. კd3 ეa8 35. კ:d6 ეa1+ 36. ეეe2 ეa2+ 37. ეed1 ეg6 38. კ:g6 ეეg:g6 39. კg3 ეa5 40. ეc6 ეef5.

ამ მდგომარეობაში კუშნირმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

პარტია გადაიდო. კუშნირს მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვს.

ძალათბურთი

ლიდერი უხვლელია

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მოთიგი ტურის მატჩი. გთავაზობთ შედეგს: „ყალგირისი“ (კაუნასი)-„კალევი“ (ტალინი) — 108:92.

გთამაშობას კვლავინდებურად ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოველ არმიელთა გუნდი — 31 ქულა (32 შეხვედრიდან). მომდევნო ადგილებზე არიან: ლენინგრადის „სპარტაკი“ — 28 (34-დან), თბილისის „დინამო“ — 27 (34-დან), მოსკოვის „დინამო“ — 27 (34-დან), კაუნასის „ყალგირისი“ — 26 (34-დან), ტალინის „კალევი“ — 26 (36-დან), კიევის „სტროიტელი“ — 25 (34-დან), რიგის ვეფი — 24 (32-დან).

მოკლედ

შაში. დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში ქალთა შორის. პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: 1. ე. შედეოვა, 2. ლ. ზოლოტუხინა, 3. ბ. ბაქრაძე. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია თბილისისა და რესპუბლიკის მრავალჯეროს ჩემპიონს ბ. მოსიძეს.

თხილამურები. ბაკურიანში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური მეჯიბრება. 9 უმაღლეს სასწავლებელს შორის გუნდური პირველობა მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

ფეხბურთი. მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც თასების ფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩისათვის ემზადება, სოფიაში გამართა ამხანაგური მატჩი „ლევსკი-სპარტაკთან“. მოსკოველებმა გაიმარჯვეს ანგარიმით 1:0.

ასტრახანსა და რიაზანში „იზვესტიის“ პრიზზე

15-16 თებერვალს გაიმართება მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიის“ პრიზის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრებები ასტრახანში, ხარკოვში, ვილნიუსში, ომსკში, ყირიმანდასა და რიაზანში. თბილისის პირველი გუნდი ეასპარეზებს ასტრახანში, ხოლო მეორე — რიაზანში.

სურათებზე: ზემოთ — სალაბადე ქსოვილის ქურთუკები (ავტორი ლერი მიქაბერიძე); ბამბის ქსოვილის ეს კოსტიუმი შექმნა შემოდელე მხატვარმა ლია თვაურმა.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისური მოდები

ირანში — საერთაშორისო გამოფენაზე

საბაზაფხულო სეზონისათვის ტანსაცმლის ახალი ნიმუშები შეიმუშავეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების რესპუბლიკური სახლის სპეციალისტებმა.

თბილისელ მემოდელეთა ნამუშევრები პოპულარულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში არამედ საზღვარგარეთაც. ახლა მოდელების სახლის სპეციალისტები ამზადებენ მოდების დიდ ექსპოზიციას ირანში საერთაშორისო გამოფენაზე საჩვენებლად.

რედაქტორი ლ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი — **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

ვ50096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-92-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობის — 98-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა შენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.